

4
შ-272

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ინა მანიუაშვილი

სუბსტანციური ფრაზეოლოგიური ერთეულები
ფრანგულ და ქართულ ენებში

10.02.04. – რომანულ-გერმანიკული
ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2004

ნაშრომი შესრულებულია ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის
ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული
ენის კათედრაზე

სამეცნიერო მანანა ხოფერია, ფილოლოგიის
ხელმძღვანელი მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ოფიციალური 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა
ოპონენტები: დოქტორი, პროფესორი
ციური ახვლედიანი (10.02.04)
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი
ცისანა ბიბილეიშვილი (10.02.04)

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წლის 10 მარტს 12⁰⁰ საათზე
ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
P.10.01. N7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე – აუდიტ. 93, I კორ-
პუსი.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივანე ჯავახიშვილის სახ. თბი-
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთე-
კაში, თბილისი, უნივერსიტეტის N2.

- 1934 -

ავტორეფერატი დაიგზავნა " 2 " თებერვალი, 2004წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

გ. წიბახაშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

პრობლემის აქტუალობა

უცხო ენის შესწავლის აუცილებელი პირობაა ლექსიკური
მასალის აღნუსხვა, ამ ლექსიკის სათანადო განაწილება და
გამოყენების სიხშირეთა დადგენა. ენის ლექსიკური ფონდი
არასოდეს შემოიფარგლება მარტო ლექსიკური ერთეუ-
ლების ამოსავალი (საწყისი) ფორმებით, იგი მნიშვნელოვან-
წილად წარმოდგენილია ლექსიკურ ერთეულთა ურთიერთ-
მიმართებით, ნაირგვარი ფორმობრივი ვარიანტებითა და
სიტყვათშეხამებითი კონსტრუქციებითაც.
ენა წარმოადგენს მთლიან სტრუქტურას, რომელშიც თი-
თოეული ნაწილი მეორის გვერდით ღვას და მითია შეპი-
რობებული (კუმპოლდტი).

უცხო ენის ცოდნა და მისი პრაგმატული მოხმარება აუ-
ცილებლად გულისხმობს მშობლიურ ენასთან შე-
პირისპირებით მუშაობას, რათა მსგავსება – განსხვავებათა
თეორიული და პრაქტიკული ჩვენებით უფრო ღრმად იქნას
გაგებულ და დამახსოვრებული უცხოენოვანი მოდელი.

განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის ფრაზეოლოგიზმების,
იდიომური შესიტყვებების შეპირისპირების საკითხი.
რადგანაც ამგვარ მასალაში მეტაფორულ-იდიომური
ლექსემის (ან ლექსემათა ჯამის) მნიშვნელობა არ უდრის
ტრადიციულ სალექსიკონო მნიშვნელობას. ასეთ შემთხ-
ვევაში იზრდება კონტექსტის როლი (როგორც სემანტიკური
ისე სტილური თვალსაზრისით).

ორი ენის მიმართებისას გასათვალისწინებელია არა
მხოლოდ თარგმანის ფორმობრივი სიზუსტე, არამედ მისი
ექსპრესიული მართებულობაც და ენისათვის ბუნებრივი
ყალიბების დაცვის საჭიროებაც. ამ შემთხვევაში თავიდან
იქნება არიდებული კალკები, რომელსაც თანამედროვე ინ-
ტენსიური ენობრივი კონტაქტების ვითარებაში ენისათვის
დიდი ზიანის მიყენება შეუძლია, და სტილებრივი
უხერხულობაც, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ექსპრესიის
ხარისხობრივი ზომის დარღვევა ენობრივი კონტაქტისას.